ESRS E2
დაბინძურება

შინაარსი

მიზანი
ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან
ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები
- ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები
  ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა
    - ESRS 2 IRO-1-თან - „დაბინძურებასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა
    - E2-1 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული პოლიტიკები
    - E2-2 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები
  მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები
    - E2-3 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები
    - E2-4 გამჟღავნების მოთხოვნა - ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება
    - E2-5 გამჟღავნების მოთხოვნა - სახიფათო ნივთიერებები და განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები
    - E2-6 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები
დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები
- ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები
  ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა
    - E2-1 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული პოლიტიკები
    - E2-2 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები
  მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები
    - E2-3 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები
    - E2-4 გამჟღავნების მოთხოვნა - ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება
    - E2-5 გამჟღავნების მოთხოვნა - სახიფათო ნივთიერებები და განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები
    - E2-6 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია დეტალურად დაადგინოს ინფორმაციის *გამჟღავნების* ის *მოთხოვნები,* რომელიც ***მდგრადობის ანგარიშგების*** მომხმარებელს მისცემს საშუალებას ნათელი წარმოდგენა შეიქმნას:

   ა) იმის შესახებ, თუ რა არსებით დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს საწარმო ჰაერის, წყლისა და ***ნიადაგის დაბინძურებაზე*** არსებული ან პოტენციური ***ზემოქმედების*** თვალსაზრისით;

   ბ) არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის ან შერბილების, ასევე ***რისკებსა*** და ***შესაძლებლობებზე*** რეაგირების მიზნით საწარმოს მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ***ქმედებაზე*** და ასეთი ქმედებების შედეგზე;

   გ) საწარმოს გეგმებსა და შესაძლებლობებზე მოახდინოს საკუთარი ***სტრატეგიისა*** და ***ბიზნესმოდელის*** მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან და დაბინძურების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის საჭიროებასთან ადაპტირება. ამის მიზანია არატოქსიკური გარემოს შექმნა ნულოვანი დაბინძურებით, რომელიც ასევე უკავშირდება ევროკავშირის სამოქმედო გეგმას „ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ“ (Towards a Zero Pollution for Air, Water and Soil);

   დ) დაბინძურებასთან დაკავშირებულ საწარმოს ზემოქმედებასა და ***დამოკიდებულებასთან*** კავშირში მყოფი არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების ხასიათზე, ტიპსა და მასშტაბზე, ასევე საწარმოს მიერ დაბინძურების პრევენციაზე, კონტროლზე, აღმოფხვრასა და შემცირებაზე, მათ შორის, როდესაც ეს ხდება რეგულაციების გამოყენების შედეგად და როგორ ახორციელებს საწარმო ამ პროცესების მართვას; და

   ე) დაბინძურებასთან დაკავშირებული ზემოქმედებიდან და ***დამოკიდებულებიდან*** წარმოშობილი არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების ***ფინანსურ შედეგებზე*** მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში;

2. წინამდებარე სტანდარტი ადგენს ***მდგრადობის*** შემდეგ ***საკითხებთან*** დაკავშირებულ *გამჟღავნების მოთხოვნებს*: ჰაერის, წყლის, ***ნიადაგის დაბინძურება, სახიფათო ნივთიერებები***, მათ შორის ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები***.

3. „ჰაერის ***დაბინძურება***“ ეხება საწარმოს მიერ ჰაერში განხორციელებულ ***გაფრქვევებს*** (შენობის შიდას და გარეს) და ასეთი გაფრქვევების პრევენციას, კონტროლს და შემცირებას.

4. „წყლის ***დაბინძურება***“ ეხება საწარმო მიერ წყალში განხორციელებულ ***გაფრქვევებს*** და ასეთი გაფრქვევების პრევენციას, კონტროლს და შემცირებას.

5. „ნიადაგის ***დაბინძურება***“ ეხება საწარმო მიერ ნიადაგში განხორციელებულ ***გაფრქვევებს*** და ასეთი გაფრქვევების პრევენციას, კონტროლს და შემცირებას.

6. „***სახიფათო ნივთიერებებთან“*** მიმართებით, წინამდებარე სტანდარტი მოიცავს სახიფათო ნივთიერებების, მათ შორის ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების***, წარმოების, გამოყენების ან/და დისტრიბუციის და კომერციალიზაციის საკითხებს. სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული *გამჟღავნების მოთხოვნების* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ამ ნივთიერებების არსებულ ან პოტენციურ ზემოქმედებაზე და გაითვალისწინონ მათი გამოყენების ან/და დისტრიბუციისა და კომერციალიზაციის შესაძლო შეზღუდვები.

ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან

7. ***დაბინძურების*** თემა მჭიდროდ უკავშირდება სხვა ისეთ გარემოსდაცვით ქვე-თემებს, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, წყალი და ***საზღვაო რესურსები, ბიომრავალფეროვნება*** და ***ცირკულარული ეკონომიკა.*** დაბინძურების თვალსაზრისით შესაძლო არსებითი საკითხების ყოვლისმომცველი მიმოხილვის მიზნით, შესაბამისი *გამჟღავნების მოთხოვნები* მოცემულია სხვა გარემოსდაცვით სტანდარტებში, ესენია:

   ა) ESRS E1 „*კლიმატის ცვლილება*“, რომელიც ეხება ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულ შვიდ ***სათბურის აირს:*** ნახშირორჟანგი (CO2), მეთანი (CH4), აზოტის ქვეჟანგი (N2O), ჰიდროფტორნახშირბადები (HFCs), პერფტორნახშირბადები (PFCs), გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF6) და აზოტის ტრიფტორიდი (NF3).

   ბ) ESRS E3 „*წყალი და საზღვაო რესურსები*“, რომელიც ეხება ***წყლის მოხმარებას,*** განსაკუთრებით ***წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე,*** წყლის ***რეციკლირებას*** და დაგროვებას. იგი ასევე მოიცავს საზღვაო რესურსების პასუხისმგებლობით მართვის საკითხებს, მათ შორის საზღვაო რესურსებთან დაკავშირებული ისეთი პროდუქტების (როგორებიცაა, ქვიშა-ხრეში, ღრმა წყლის მინერალები, ზღვის პროდუქტები) სახეებსა და რაოდენობებს, რომელსაც საწარმო იყენებს. წინამდებარე სტანდარტი ასევე ეხება საწარმოს ასეთი საქმიანობების შედეგად წყლისა და საზღვაო რესურსების დაბინძურების თვალსაზრისით წარმოქმნილ უარყოფით ზემოქმედებას, მიკროპლასტმასას ჩათვლით.

   გ) ESRS E4 „*ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები*“, რომელიც ეხება ***ეკოსისტემებსა*** და სახეობებს. წინამდებარე სტანდარტი კი განიხილავს დაბინძურებას, როგორც ***ბიომრავალფეროვნების კარგვაზე*** ზემოქმედების პირდაპირ გამომწვევ ფაქტორს.

   დ) ESRS E5 „*რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა*“, რომელიც ეხება, კერძოდ, არაგანახლებადი რესურსების მოპოვებისთვის თავის დანებებას და ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც ხელს უშლის ***ნარჩენების,*** მათ შორის ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების, წარმოქმნას.

8. ***დაბინძურების*** თვალსაზრისით საწარმოს მიერ გამოწვეულმა ზემოქმედებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს როგორც ცალკეულ ადამიანებზე, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებზე. ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს მიერ დაბინძურების თვალსაზრისით გამოწვეული არსებითი უარყოფითი ზემოქმედების საკითხები წარმოდგენილია ESRS S3-ში - „*ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*“.

9. ეს სტანდარტი წაკითხულ უნდა იქნეს ESRS 1 – „*ზოგადი მოთხოვნები*“ და ESRS 2 – „*ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები*“ სტანდარტებთან ერთად.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

10. ამ განყოფილების მოთხოვნები საწარმომ უნდა წაიკითხოს ESRS 2-ის მე-4 თავის - *„ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა“* - შესაბამისად დადგენილ *გამჟღავნების მოთხოვნებთან* ერთად და ანგარიშგებაში ამავე თავის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის გვერდით წარმოადგინოს.

ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა

ESRS 2 IRO-1-თან - „დაბინძურებასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა

11. საწარმომ უნდა აღწეროს არსებითი ***ზემოქმედების, რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** გამოვლენის პროცესი, კერძოდ, მან უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

    ა) გადაამოწმა თუ არა საწარმომ თავისი ***საქმიანობის განხორციელების ადგილების*** მდებარეობები და ბიზნესსაქმიანობები, საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში დაბინძურებასთან*** დაკავშირებული არსებული და პოტენციური ***ზემოქმედების, რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** გამოვლენის მიზნით და იმ შემთხვევაში, თუ ეს გააკეთა, სკრინინგისთვის/შეფასებისთვის რა მეთოდოლოგიები, დაშვებები და ინსტრუმენტები გამოიყენა მან;

    ბ) გამართა თუ არა საწამომ კონსულტაციები, კერძოდ კი ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და როგორ გააკეთა ეს.

E2-1 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული პოლიტიკები

12. საწარმომ უნდა აღწეროს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მიმართულებით საკუთარი არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები.

13. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს საწარმოს ისეთი ***პოლიტიკები,*** რომელიც ეხება დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი ***ზემოქმედების, რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** გამოვლენას, შეფასებას, მართვას ან/და ***რემედიაციას.***

14. მე-12 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ ***პოლიტიკების*** შესახებ, რომელიც საწარმოს (ESRS 2 MDR-P-ის – *„მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკა“* - შესაბამისად) აქვს

დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი ***ზემოქმედების, რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** სამართავად.

15. საწარმომ უნდა აჩვენოს, საკუთარი ოპერაციებისა და აღმავალი და დაღმავალი ***ღირებულებათა ჯაჭვის*** ფარგლებში, ეხება თუ არა და როგორ, მისი ***პოლიტიკები*** ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებს, როდესაც ისინი არსებითია:

    ა) ჰაერის, წყლისა და ***ნიადაგის დაბინძურების*** თვალსაზრისით უარყოფითი ***ზემოქმედების*** შერბილება, მათ შორის პრევენცია და კონტროლი;

    ბ) ***სახიფათო ნივთიერებების*** გამოყენების ჩანაცვლება და მინიმუმამდე დაყვანა, ასევე ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების*** ეტაპობრივი ამოღება, კერძოდ სამომხმარებლო პროდუქტებში და არასაჭირო სოციალური გამოყენებისას; და

    გ) ***ინციდენტებისა*** და საგანგებო სიტუაციების თავიდან არიდება და თუ და როდესაც, ისინი მოხდება, ადამიანებსა და გარემოზე მათი ზემოქმედების კონტროლი და შეზღუდვა.

E2-2 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

16. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაბინძურების საკითხებთან დაკავშირებით მისი ქმედებებისა და მათ განსახორციელებლად განაწილებული რესურსების შესახებ.

17. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ***დაბინძურების*** საკითხებთან დაკავშირებული ***პოლიტიკის*** მიზნებისა და ***სამიზნე მაჩვენებლების*** მისაღწევად საწარმოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ძირითადი ქმედებების შესახებ.

18. დაბინძურებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმებისა და რესურსების აღწერა უნდა მოიცავდეს ESRS 2 MDR-A-ით - *„მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“* - განსაზღვრულ ინფორმაციას.

19. ESRS 2 MDR-A-ით დადგენილი ინფორმაციის გარდა, საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს ქვემოთ მოცემულ შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიაში რომელ დონეზე შეიძლება განაწილდეს მისი ქმედებები და რესურსები:

    ა) ***დაბინძურების*** თავიდან არიდება, მათ შორის უარყოფითი ზემოქმედების მქონე მასალების ან ნაერთების ნებისმიერი სახით ეტაპობრივად ამოღება (დაბინძურების პრევენცია მისი წარმოშობის ადგილზევე);

    ბ) დაბინძურების შემცირება, მათ შორის: მასალების ან ნაერთების ნებისმიერი სახით ეტაპობრივად ამოღება; აღსრულების მოთხოვნების შესრულება, როგორიცაა ***საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის*** მოთხოვნები; დაბინძურების პრევენციისა და კონტროლისთვის პრინციპის ***„არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანი“*** დაკმაყოფილება ევროკავშირის ტაქსონომიის რეგულაციისა (EU Taxonomy Regulation) და მისი დელეგირებული აქტების შესაბამისად (დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა);

გ) იმ ***ეკოსისტემების*** აღდგენა, რეგენერაცია და ტრანსფორმაცია, რომელიც უკვე დაბინძურდა (როგორც რეგულარული საქმიანობიდან, ისე ***ინციდენტებიდან*** მომდინარე ზემოქმედების კონტროლი).

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

E2-3 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები

20. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაბინძურების საკითხებთან დაკავშირებით მის მიერ დაწესებული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ.

21. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ დაწესებული ***სამიზნე მაჩვენებლების*** შესახებ, რომლებიც ეხება ***დაბინძურების*** საკითხებთან დაკავშირებული ***პოლიტიკების*** განხორციელებას, ასევე დაბინძურების თვალსაზრისით არსებით ***ზემოქმედებაზე, რისკებსა*** და ***შესაძლებლობებზე*** რეაგირებას.

22. ***სამიზნე მაჩვენებლების*** აღწერა უნდა მოიცავდეს ESRS 2 MDR-T-ის - „*პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით*“ - მოთხოვნებით განსაზღვრულ ინფორმაციას.

23. საწარმომ მე-20 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციაში უნდა მიუთითოს მიემართება თუ არა და როგორ, მისი ***სამიზნე მაჩვენებლები***:

    ა) ჰაერის დამბინძურებლებისა და შესაბამისი ***ხვედრითი დატვირთვის*** პრევენციასა და კონტროლს;

    ბ) წყალში განხორციელებული ***გაფრქვევებისა*** და შესაბამისი ***ხვედრითი დატვირთვის*** პრევენციასა და კონტროლს;

    გ) ***ნიადაგის დაბინძურებისა*** და შესაბამისი ***ხვედრითი დატვირთვის*** პრევენციასა და კონტროლს; და

    დ) ***სახიფათო ნივთიერებების*** და ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების*** პრევენციასა და კონტროლს.

24. ESRS 2 MDR-T-ით დადგენილი ინფორმაციის გარდა, საწარმოს შეუძლია მიუთითოს სამიზნე მაჩვენებლების დაწესებისას იქნა თუ არა გათვალისწინებული ***ეკოლოგიური ზღვრები*** (მაგ., ***ბიოსფეროს მთლიანობა,*** სტრატოსფერული ოზონის დაშლა, ატმოსფერული აეროზოლით გაჯერება, ნიადაგის გამოფიტვა, ოკეანის გამჟავიანება) და საწარმოსთვის სპეციფიკური ვალდებულებებისა და რესურსების განაწილება. თუ ასეა, საწარმოს შეუძლია მიუთითოს:

    ა) იდენტიფიცირებული ***ეკოლოგიური ზღვრები*** და ასეთი ზღვრების იდენტიფიცირებისას გამოყენებული მეთოდოლოგია;

ბ) არის თუ არა ეს ზღვრები საწარმოსთვის სპეციფიკური და თუ ასეა, როგორ განისაზღვრა ისინი; და

გ) როგორ ნაწილდება საწარმოში პასუხისმგებლობა იდენტიფიცირებული ეკოლოგიური ზღვრების დაცვაზე.

25. საწარმომ, კონტექსტურ ინფორმაციაში, უნდა მიუთითოს მის მიერ დაწესებული და წარდგენილი ***სამიზნე მაჩვენებლები*** სავალდებულოა (კანონმდებლობის საფუძველზე) თუ ნებაყოფლობითი.

E2-4 გამჟღავნების მოთხოვნა - ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება

26. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მის მიერ საკუთარი ოპერაციების ფარგლებში გამოყოფილი დამბინძურებლების შესახებ, ასევე მიკროპლასტმასას შესახებ, რომელსაც ის წარმოქმნის ან იყენებს.

27. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ საკუთარი ოპერაციების ფარგლებში ჰაერში, წყალსა და ***ნიადაგში*** განხორციელებული ***გაფრქვევების*** შესახებ, ასევე საწარმოს მიერ მიკროპლასტმასას წარმოქმნისა და გამოყენების შესახებ.

28. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია:

ა) მის მიერ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში გამოყოფილი, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 166/2006 რეგულაციის II დანართში[1] (დამბინძურებლების გამოყოფისა და გადაცემის ევროპული რეესტრი - "E-PRTR Regulation") ჩამოთვლილი, თითოეული დამბინძურებლის ოდენობების შესახებ, გარდა ***სათბურის აირების*** გაფრქვევებისა, რომლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ESRS E1-ის - „*კლიმატის ცვლილება*"[2] - შესაბამისად ხდება;

ბ) საწარმოს მიერ წარმოქმნილი ან გამოყენებული მიკროპლასტმასას ოდენობების შესახებ.

[1] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 18 იანვრის (EC) No 166/2006 რეგულაცია - Regulation (EC) No 166/2006 of the European Parliament and of the Council concerning the establishment of a European Pollutant Release and Transfer Register and amending Council Directives 91/689/EEC and 96/61/EC (OJ L 033 4.2.2006, p. 1)

[2] ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს: ა) ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #2 ინდიკატორით ("ჰაერის დამბინძურებლების გაფრქვევები" - "Emissions of air pollutants"); ბ) I დანართის I ცხრილში მოცემული #8 ინდიკატორით ("გაფრქვევები წყალში" - "Emissions to water"); გ) I დანართის II ცხრილში მოცემული #1 ინდიკატორით ("არაორგანული დამბინძურებლების გაფრქვევები" - "Emissions of inorganic pollutants"); და დ) I დანართის II ცხრილში მოცემული #3 ინდიკატორით ("ოზონდამშლელი ნივთიერებების გაფრქვევები" - "Emissions of ozone- depleting substances").

29. 28-ე პუნქტის შესაბამისად მითითებული ოდენობები უნდა იყოს კონსოლიდირებული ოდენობები, რომელიც მოიცავს გაფრქვევებს იმ ობიექტებიდან, რომელზეც საწარმოს აქვს ფინანსური კონტროლი და იმ ობიექტებიდან, რომელზეც საწარმო ახორციელებს საოპერაციო კონტროლს. კონსოლიდირებული ოდენობები უნდა მოიცავდეს გაფრქვევებს მხოლოდ იმ ობიექტებიდან, რომელთა შემთხვევაშიც ხდება (EC) No 166/2006 რეგულაციის II დანართში განსაზღვრული შესაბამისი ზღვრული მაჩვენებლის გადაჭარბება.

30. საწარმომ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა განიხილოს კონტექსტში და აღწეროს:

    ა) ცვლილებები დროთა განმავლობაში;

    ბ) ოდენობების შეფასების მეთოდოლოგია; და

    გ) ***დაბინძურების*** საკითხებთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების შეგროვების პროცეს(ებ)ი, საჭირო მონაცემების ტიპისა და ინფორმაციის წყაროების ჩათვლით.

31. როდესაც საწარმომ, ***გაფრქვევების*** რაოდენობის დასადგენად, აირჩია გაფრქვევების პირდაპირ შეფასებასთან შედარებით არასრულფასოვანი მეთოდოლოგია, მან მოკლედ უნდა აღწეროს ამ არასრულფასოვანი მეთოდოლოგიის არჩევის მიზეზები. თუ საწარმო შეფასებებს იყენებს, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ სტანდარტის, სექტორული კვლევის ან წყაროების შესახებ, რომლებიც ამგვარ შეფასებებს უდევს საფუძვლად. ასევე, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაძლო ხარისხისა და შეფასების განუსაზღვრელობით განპირობებული შეფასებების დიაპაზონის შესახებ.

E2-5 გამჟღავნების მოთხოვნა - სახიფათო ნივთიერებები და განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები

32. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია სახიფათო ნივთიერებების და განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების წარმოების, გამოყენების, დისტრიბუციის, კომერციალიზაციის და იმპორტის/ექსპორტის შესახებ, საკუთრივ მხოლოდ ამ ნივთიერებების შემთხვევაში, ან როდესაც ისინი წარმოდგენილი არიან ნარევებში ან მათგან დამზადებულია პროდუქტები.

33. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საკუთრივ ***სახიფათო ნივთიერებების*** და ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების*** გამო ჯანმრთელობასა და გარემოზე საწარმოს ზემოქმედების შესახებ. მისი მიზანია ასევე მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს არსებით რისკებსა და ***შესაძლებლობებზე,*** მათ შორის ამ ნივთიერებებთან კავშირზე და რეგულაციების შედეგად წარმოქმნილ რისკებზე.

34. 32-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს იმ ***სახიფათო ნივთიერებების*** ჯამურ ოდენობას, რომლებიც წარმოიქმნება ან გამოიყენება წარმოების პროცესში, ან რომლებიც შესყიდულ იქნა, ასევე იმ სახიფათო ნივთიერებების ჯამურ ოდენობას, რომლებიც ტოვებენ საწარმოს ობიექტებს გაფრქვევების, პროდუქციის, ან პროდუქციის ან მომსახურების ნაწილის სახით, რომლებიც დაყოფილია სახიფათო ნივთიერებების ძირითადი საშიშროების მქონე კლასებად.

35. საწარმომ ცალკე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების*** შესახებ.

E2-6 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

36. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ.

37. მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მიმართ მიმდინარე ფინანსური შედეგების შესახებ ESRS 2 SBM-3-ის 48(დ) პუნქტის შესაბამისად დადგენილი ინფორმაციის გარდა, საწარმომ დამატებით უნდა წარმოადგინოს 36-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაცია.

38. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებელს მიეცეს საშუალება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას:

   ა) ***დაბინძურებასთან*** დაკავშირებული ზემოქმედებისგან და ***დამოკიდებულებისგან*** წარმოშობილი არსებითი რისკებიდან მომდინარე ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგების*** შესახებ და იმის თაობაზე, თუ როგორ ახდენენ (ან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მოახდენენ) ეს რისკები არსებით გავლენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში;

   ბ) ***დაბინძურების*** პრევენციასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითი ***შესაძლებლობებიდან*** მომდინარე ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგების*** შესახებ.

39. გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

   ა) ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგების*** შესახებ რაოდენობრივ ინფორმაციას (ფულადი ოდენობის სახით) დაბინძურების საკითხებთან დაკავშირებული ქმედებების განხილვამდე, ან როდესაც ამის გაკეთება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე - ხარისხობრივ ინფორმაციას. ***შესაძლებლობებიდან*** წარმოშობილი ***ფინანსური შედეგებისთვის*** რაოდენობრივი ინფორმაცია სავალდებულო არ არის, იმ შემთხვევაში თუ ეს გამოიწვევდა ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს ვერ დააკმაყოფილებს (იხილეთ ESRS 1-ის „ბ“ დანართი - „*ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები*“);

   ბ) გათვალისწინებული შედეგების და დაკავშირებული ზემოქმედების აღწერას და იმ დროის პერიოდებს, როდესაც მოსალოდნელია მათი რეალიზება; და

გ) ***მოსალოდნელი ფინანსური შედეგების*** რაოდენობის დასადგენად გამოყენებულ კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებებს და ამ დაშვებების წყაროებსა და განუსაზღვრელობის დონეს.

40. 38(ა) პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) ისეთი პროდუქციიდან და მომსახურებიდან მიღებული წმინდა ამონაგების წილს, რომელიც თავად არის ან შეიცავს ***სახიფათო ნივთიერებებს***, ასევე ისეთი პროდუქციიდან და მომსახურებიდან მიღებული წმინდა ამონაგების წილს, რომელიც თავად არის ან შეიცავს ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებებს***;

ბ) მთავარ ***ინციდენტებთან*** და ***დანალექებთან*** დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდში გაწეული საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებს;

გ) ანარიცხებს გარემოს დაცვისა და ***რემედიაციის*** ხარჯებისთვის, მაგ., ***საქმიანობის განხორციელების*** მოწამლული ***ადგილების*** რეაბილიტაციის, ნაგავსაყრელების რეკულტივაციის, საწარმოში მოცემულ მომენტში არსებული შენახვისა და წარმოების საქმიანობის განხორციელების ადგილებიდან ეკოლოგიური მოწამვლის მოცილების ან მსგავსი ზომების მიღების მიზნით.

41. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ნებისმიერი სახის შესაფერისი კონტექსტური ინფორმაცია, მათ შორის, ისეთი არსებითი ***ინციდენტებისა*** და ***დანალექების*** აღწერა, სადაც ***დაბინძურებამ*** უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა გარემოზე ან/და მოსალოდნელია, რომ უარყოფით შედეგებს მოიტანს საწარმოს ფულადი ნაკადების, ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური საქმიანობის შედეგების მიმართ, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან დროის პერიოდებში.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

ეს დანართი ESRS E2-ის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს ამ სტანდარტით გათვალისწინებული გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებას და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

ESRS 2 ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა

ESRS 2 IRO-1-თან - „დაბინძურებასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა

გმ 1. გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული ქვეთემების ***არსებითობის*** შეფასების პროცესში, საწარმომ საკუთარ ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში*** დაბინძურების საკითხის არსებითობა უნდა შეაფასოს. მან უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ მოცემული ოთხფაზიანი მიდგომა:

ა) 1-ელი ფაზა: საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში*** ბუნებასთან ურთიერთმოქმედების ადგილმდებარეობის დადგენა;

ბ) მე-2 ფაზა: ***დაბინძურების*** საკითხებთან დაკავშირებული ***დამოკიდებულებისა*** და ზემოქმედების შეფასება;

გ) მე-3 ფაზა: არსებითი ***რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** შეფასება; და

დ) მე-4 ფაზა: არსებითობის შეფასების შედეგების მომზადება და წარდგენა.

გმ 2. ESRS E2-ში გათვალისწინებულ ***არსებითობის*** შეფასებას მოიცავს ოთხფაზიანი მიდგომის პირველი სამი ფაზა. მეოთხე ფაზა კი პროცესის შედეგებს ეხება.

გმ 3. ***ზემოქმედების, დამოკიდებულების, რისკებისა*** და ***შესაძლებლობების არსებითობის*** შეფასების პროცესში საწარმომ ESRS 2 IRO-1-ისა - „*არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა*“ - და ESRS 2 IRO-2-ის - „*ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება*“ - დებულებები უნდა გაითვალისწინოს.

გმ 4. ESRS E2-ით გათვალისწინებული ***არსებითობის*** შეფასების ქვეთემები მოიცავს შემდეგს:

ა) ჰაერის, წყლისა და ***ნიადაგის დაბინძურება*** (სათბურის აირების ***გაფრქვევებისა*** და ***ნარჩენების*** გარდა), მიკროპლასტმასა და ***სახიფათო ნივთიერებები;***

ბ) ***დამოკიდებულება ეკოსისტემურ მომსახურებაზე,*** რომელიც დაბინძურებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შერბილებას უწყობს ხელს.

გმ 5. 1-ელ ფაზაში, საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში*** ბუნებასთან ურთიერთმოქმედების ადგილმდებარეობის დადგენისას, საწამოს შეუძლია გაითვალისწინოს:

ა) პირდაპირი აქტივების და ოპერაციების, ასევე აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში დაკავშირებული ***საქმიანობების განხორციელების ადგილების*** მდებარეობები;

ბ) საქმიანობის განხორციელების იმ ადგილების მდებარეობები, სადაც ხდება წყლის, ***ნიადაგისა*** და ჰაერის დამბინძურებლების ***გაფრქვევა;***

გ) ის სექტორები ან ბიზნეს-ერთეულები, რომლებიც უკავშირდება ამ გაფრქვევებს ან მიკროპლასტმასას, ***სახიფათო ნივთიერებების*** და ***განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებების*** წარმოებას, გამოყენებას, დისტრიბუციას, კომერციალიზაციას და იმპორტს/ექსპორტს, საკუთრივ მხოლოდ ამ ნივთიერებების შემთხვევაში, ან როდესაც ისინი წარმოდგენილი არიან ნარევებში ან მათგან დამზადებულია პროდუქტები.

გმ 6. მე-2 ფაზა ეხება საწარმოს ზემოქმედებისა და ***დამოკიდებულების*** შეფასებას ***საქმიანობის განხორციელების*** თითოეული არსებითი ***ადგილისა*** და სექტორის/ბიზნეს-ერთეულისთვის, მათ შორის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სერიოზულობისა და ალბათობის შეფასებას.

გმ 7. მე-3 ფაზაში, 1-ელი და მე-2 ფაზის შედეგებზე დაყრდნობით არსებითი ***რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** შესაფასებლად, საწარმოს შეუძლია:

ა) საკუთარ ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში*** მოახდინოს ***გარდამავალი რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** იდენტიფიცირება, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

i. ***პოლიტიკა*** და სამართლებრივი საკითხები: მაგ., რეგულაციის შემოღება, სანქციები და სასამართლო დავებში მონაწილეობა (მაგ., ***ეკოსისტემების*** მიმართ დაუდევრობა), ანგარიშგების გამკაცრებული ვალდებულებები;
ii. ტექნოლოგია: პროდუქციის ან მომსახურების ჩანაცვლება ნაკლები ზემოქმედების მქონე პროდუქციით ან მომსახურებით, ***სახიფათო ნივთიერებების*** გამოყენებისთვის თავის დანებება;
iii. ბაზარი: მიწოდების, მოთხოვნისა და დაფინანსების ალტერნატიულ გზებზე გადასვლა, ზოგიერთ ნივთიერებასთან დაკავშირებული ხარჯების არასტაბილურობა და ზრდა;
iv. რეპუტაცია: ***დაბინძურების*** პრევენციისა და კონტროლის თვალსაზრისით ორგანიზაციის მხრიდან შესრულებული როლის შედეგად ფართო საზოგადოების, მომხმარებლების და საზოგადოებრივი ჯგუფების აღქმების შეცვლა;

ბ) მოახდინოს ფიზიკური რისკების იდენტიფიცირება, მაგ., სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობის უეცრად შეწყვეტის, მჟავა წვიმის ან დაბინძურების სხვა

ინციდენტების რისკების იდენტიფიცირება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან უკვე გამოიწვია ისეთი დაბინძურება, რომელიც შემდგომში ზეგავლენას მოახდენს გარემოსა და საზოგადოებაზე;

გ) მოახდინოს დაბინძურების პრევენციასა და კონტროლთან დაკავშირებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

i. რესურსების ეფექტიანობა: ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად გამოყენებული ნივთიერებების რაოდენობის შემცირება ან წარმოების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
ii. ბაზრები: ბიზნესსაქმიანობების დივერსიფიკაცია;
iii. დაფინანსება: მწვანე ფონდებზე, ობლიგაციებზე ან სესხებზე ხელმისაწვდომობა;
iv. მედეგობა: ინოვაციების ან ტექნოლოგიების მეშვეობით გამოყენებული ნივთიერებების დივერსიფიკაცია და გაფრქვევების კონტროლი; და
v. რეპუტაცია: რისკების მართვისადმი პროაქტიული დამოკიდებულებით ***დაინტერესებულ მხარეებთან*** ურთიერთობების დადებითი კუთხით წარმართვა.

გმ 8. არსებითობის **შეფასებისას,** საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაცია (EU) 2021/2279 პროდუქციისა და ორგანიზაციების სასიცოცხლო ციკლში გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლების გაზომვისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით ეკოლოგიური ნაკვალევის მეთოდების გამოყენების თაობაზე (Commission Recommendation (EU) 2021/2279 on the use of the Environmental Footprint methods to measure and communicate the life cycle environmental performance of products and organisations).

გმ 9. ***არსებითობის*** შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ***საქმიანობის განხორციელების*** იმ ***ადგილების*** მდებარეობების ჩამონათვალი, სადაც ***დაბინძურება*** საწარმოს საკუთარი ოპერაციებისთვის და მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულის ჯაჭვისთვის არსებით საკითხს წარმოადგენს; და

ბ) დაბინძურების თვალსაზრისით არსებით ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობების ჩამონათვალი.

E2-1 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული პოლიტიკები

გმ 10. საწარმოს შეუძლია *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნაში* აღწერილი ***პოლიტიკები*** ისეთ უფრო ფართო გარემოსდაცვით ან მდგრადობის პოლიტიკებთან ერთად წარმოადგინოს, რომლებიც სხვადასხვა ქვეთემას მოიცავენ.

გმ 11. ამ ***პოლიტიკების*** აღწერა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი **დამბინძურებლ(ებ)ისა** და **ნივთიერებ(ებ)ის** შესახებ.

გმ 12. მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს კონტექსტური ინფორმაცია მის მიერ გატარებული პოლიტიკების შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანოს ამ პოლიტიკებმა ევროკავშირის სამოქმედო გეგმის „ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ“ (Towards a Zero Pollution for Air, Water and Soil) განხორციელების პროცესში. ამ თვალსაზრისით, საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს, მაგალითად, შემდეგი ელემენტები:

ა) რა გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს მასზე ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ***სამიზნე მაჩვენებლებმა*** და ზომებმა, ასევე არსებული დირექტივების შესწორებებმა (მაგ., სამრეწველო გაფრქვევების დირექტივა (Industrial Emissions Directive));

ბ) როგორ აპირებს ის ***დაბინძურების*** საკუთარი ნაკვალევის შემცირებას ამ სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად.

E2-2 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

გმ 13. როდესაც ***ქმედებები*** ვრცელდება საწარმოს აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში*** დადებულ შეთანხმებებზე, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ შეთანხმებებთან დაკავშირებული ქმედებების ტიპების შესახებ.

გმ 14. რესურსების თვალსაზრისით, საოპერაციო დანახარჯების მაგალითები შეიძლება იყოს კვლევასა და განვითარებაში განხორციელებული ისეთი ინვესტიციები, რომლის მიზანია სახიფათო ნივთიერებების გამოყენების უსაფრთხო და მდგრადი ალტერნატივების განვითარება და ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელება ან წარმოების პროცესში ***გაფრქვევების*** შემცირება.

გმ 15. საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია ***საქმიანობის განხორციელების ადგილის*** დონეზე სამოქმედო გეგმების შესახებ, როდესაც ეს შესაფერისია ***დაბინძურების*** საკითხებთან დაკავშირებული ***პოლიტიკის*** მიზნებისა და ***სამიზნე მაჩვენებლების*** მიღწევის თვალსაზრისით.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

E2-3 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები

გმ 16. თუ საწარმო ***სამიზნე მაჩვენებლების*** დაწესებისას იყენებს ***ეკოლოგიურ ზღვრებს,*** მას შეუძლია დროებით გამოიყენოს მეცნიერებაზე დაფუძნებული სამიზნე მაჩვენებლების დადგენის ინიციატივა ბუნებისთვის (Science-Based Targets Initiative for Nature - SBTN) სახელმძღვანელო მითითებები, კერძოდ, 2020 წლის სექტემბერში გამოცემული საწყისი სახელმძღვანელო ბიზნესისთვის (Initial Guidance for Business). მას ასევე შეუძლია გამოიყენოს სხვა სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ეფუძნება მეცნიერულად აღიარებულ მეთოდოლოგიებს და იძლევა მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული სამიზნე მაჩვენებლების დადგენის საშუალებას ეკოლოგიური ზღვრების იდენტიფიცირების და, საჭიროების შემთხვევაში, საწარმოსთვის სპეციფიკური ვალდებულებებისა და რესურსების განაწილების საფუძველზე. ეკოლოგიური ზღვრები შეიძლება იყოს ადგილობრივი, ეროვნული ან/და გლობალური დონის.

გმ 17. საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს ***სამიზნე მაჩვენებელში*** ასახულია თუ არა ხარვეზები, რომელიც უკავშირდება *დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის* თვალსაზრისით *„მნიშვნელოვანი წვლილის“* კრიტერიუმებს, რომელიც თავის მხრივ დადგენილია (EU) 2020/852 რეგულაციის 14(2) მუხლის შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტებით. როდესაც საწარმო არ აკმაყოფილებს *დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის* თვალსაზრისით *„არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანის“* კრიტერიუმებს (რომელიც დადგენილია (EU) 2020/852 რეგულაციის 10(3), 11(3), 12(2), 13(2) და 15(2) მუხლების შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტებით), საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს სამიზნე მაჩვენებელში ასახულია თუ არა *„არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანის“* კრიტერიუმთან დაკავშირებული ხარვეზები.

გმ 18. როდესაც ეს შესაფერისია საწარმოს მიერ შემოღებული ***პოლიტიკების*** განსახორციელებლად, მას შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია ***საქმიანობის განხორციელების ადგილის*** დონეზე დაწესებული ***სამიზნე მაჩვენებლების*** შესახებ.

გმ 19. ***სამიზნე მაჩვენებლები*** შეიძლება მოიცავდეს საწარმოს საკუთარ ოპერაციებს ან/და ღირებულებათა ჯაჭვს.

E2-4 გამჟღავნების მოთხოვნა - ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება

გმ 20. მიკროპლასტმასას შესახებ 28(ბ) პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ მიკროპლასტმასას შესახებ, რომელიც საწარმომ წარმოქმნა ან გამოიყენა წარმოების პროცესში ან საწარმომ შეისყიდა და რომელმაც დატოვა საწარმოს ობიექტები გაფრქვევების, პროდუქციის, ან პროდუქციის ან მომსახურების ნაწილის სახით. მიკროპლასტმასა შეიძლება უნებლიეთ წარმოიქმნას, პლასტმასის ისეთი დიდი ნაჭრების ცვეთისას, როგორიცაა მანქანის საბურავები ან სინთეზური ქსოვილები, ან შეიძლება მოხდეს კონკრეტული მიზნებისთვის (მაგ., ამქერცლავი ბურთულები სახის ან სხეულის სკრაბებში) მათი განზრახ დამზადება და პროდუქციისთვის დამატება.

გმ 21. საწარმომ ***დამბინძურებლების*** მოცულობა უნდა წარმოადგინოს შესაბამის მასის ერთეულებში, მაგალითად, ტონებში ან კილოგრამებში.

გმ 22. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნით* დადგენილი ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ანგარიშვალდებული საწარმოს დონეზე. თუმცა, საწარმოს შეუძლია დამატებით ჩაშალოს ინფორმაცია ***საქმიანობის განხორციელების ადგილის*** დონეზე ან ასევე წარმოადგინოს ინფორმაცია საკუთარი ***გაფრქვევების*** შესახებ, რომელიც ჩაშლილი იქნება წყაროს ტიპის, სექტორების ან გეოგრაფიული არეალის მიხედვით.

გმ 23. გაფრქვევების შესახებ კონტექსტური ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს:

ა) ადგილობრივი ჰაერის ხარისხის ინდექსები იმ ტერიტორიისთვის, სადაც საწარმო ჰაერს აბინძურებს;

ბ) ურბანიზაციის ხარისხი[3] იმ ტერიტორიისთვის, სადაც ხდება საწარმოს მიერ ჰაერის ***დაბინძურება;*** და

გ) საწარმოს გაფრქვევების პროცენტული წილი წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე (მათ შორის, წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიებზე) წყალსა და ***ნიადაგში დამბინძურებლების*** ჯამურ ***გაფრქვევებში.***

გმ 24. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ინფორმაციას, რომლის მომზადება და წარდგენა უკვე მოეთხოვება საწარმოს სხვა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (მაგ., IED, E- PRTR, ა.შ.).

გმ 25. როდესაც საწარმოს საქმიანობა ექვემდებარება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივას სამრეწველო გაფრქვევების შესახებ[4] (Industrial Emissions Directive – IED) და ***ევროკავშირის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის*** შესაბამის ***სახელმძღვანელოს მითითებებს*** (BREF), მიუხედავად იმისა, ეს საქმიანობა ხორციელდება თუ არა ევროკავშირის ტერიტორიაზე, საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ისეთი დამატებითი ინფორმაცია, როგორიცაა:

ა) საწარმოს მიერ ექსპლუატაციაში მყოფი იმ ***ტექნიკური მოწყობილობების*** სია, რომლებიც ექვემდებარება დირექტივას სამრეწველო გაფრქვევების შესახებ და ევროკავშირში მოქმედ ***დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ;***

ბ) ნებისმიერი შეუსაბამობის ***ინციდენტის*** ან სააღსრულებო ***ქმედებების*** სია, რომლებიც აუცილებელია ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

გ) საქმიანობის ფაქტობრივი შედეგები, როგორც ეს მითითებულია ევროკავშირში მოქმედ ***დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ*** სამრეწველო ***ტექნიკურ მოწყობილობებთან*** დაკავშირებით, ასევე საწარმოს გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლების შედარება ***საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამის გაფრქვევის დონეებთან,*** როგორც ეს აღწერილია ევროკავშირში მოქმედ დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ;

დ) საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების შედარება ***საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლების დონეებთან,*** იმ პირობით, რომ ისინი სექტორსა და ***ტექნიკურ მოწყობილობას*** მიესადაგება; და

ე) ***საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი გაფრქვევის დონეების*** მიღწევასთან დაკავშირებით 2010/75/EU დირექტივის 15(4) მუხლის შესაბამისად კომპეტენტური

[3] Eurostat-ის მიხედვით, ურბანიზაციის ხარისხი წარმოადგენს ტერიტორიის კლასიფიცირებას მისი მახასიათებლების მიხედვით. ურბანულ კლასტერებსა და ურბანულ ცენტრებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის წილის მიხედვით, ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები დაყოფილია სამი ტიპის ტერიტორიად: i) დიდი ქალაქები (მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები), ii) პატარა ქალაქები და გარეუბნები (საშუალოდ სიმჭიდროვით დასახლებული ტერიტორიები) და iii) სოფლები (მწირად დასახლებული ტერიტორიები).

[4] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო გაფრქვევების შესახებ - Directive 2010/75/EU of the European Parliament and of the Council on industrial emissions (integrated pollution prevention and control) (OJ L 334, 17.12.2010, p. 17).

ორგანოების მიერ მინიჭებული ნებისმიერი შესაბამისობის გრაფიკის ან მოთხოვნებისგან ნაწილობრივ გათავისუფლების ჩამონათვალი.

მეთოდოლოგიები

გმ 26. ***დამბინძურებლების*** შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს რაოდენობრივი შეფასების შემდეგი მიდგომები, ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

ა) გაფრქვევების, ჩამდინარე წყლებისა და ნარჩენების ან სხვა ტიპის ***დაბინძურების*** რაოდენობის პირდაპირი შეფასება, უწყვეტი მონიტორინგის აღიარებული სისტემების გამოყენებით (მაგ., რაოდენობის შეფასების ავტომატური სისტემები - Automated Measuring Systems (AMS));

ბ) რაოდენობების პერიოდული შეფასებები;

გ) გამოთვლები ***საქმიანობის განხორციელების ადგილისთვის*** სპეციფიკური მონაცემების საფუძველზე;

დ) გამოთვლები დაბინძურების გამოქვეყნებული კოეფიციენტების საფუძველზე; და

ე) შეფასება.

გმ 27. მეთოდოლოგიების შესახებ 30-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ხორციელდება თუ არა მისი მონიტორინგი ევროკავშირის ***საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო*** სტანდარტების ან სხვა შესაფერისი შესადარისი საორიენტაციო მითითებების შესაბამისად; და

ბ) ჩატარდა თუ არა და როგორ ჩატარდა რაოდენობის შეფასების ავტომატური სისტემების დაკალიბრების ტესტები, ასევე უზრუნველყოფილ იქნა თუ არა და როგორ, რაოდენობების პერიოდული შეფასების შემოწმება/ვერიფიკაცია დამოუკიდებელი ლაბორატორიების მიერ.

E2-5 გამჟღავნების მოთხოვნა - სახიფათო ნივთიერებები და განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები

გასათვალისწინებელი ნივთიერებების სია

გმ 28. ინფორმაციის სრულყოფის მიზნით წარმოდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი და გამოყენებული ***ნივთიერებების,*** ასევე საწარმოს მიერ შესყიდული ნივთიერებების შესახებ (მაგ., ნივთიერებებისა, რომლებიც ჩართულია ინგრედიენტებში, ნახევრად მზა პროდუქციაში ან საბოლოო პროდუქციაში).

გმ 29. ***დამბინძურებლების*** მოცულობა გამოსახულ უნდა იქნეს მასის ერთეულებში, მაგალითად, ტონებში ან კილოგრამებში, ან მასის სხვა ისეთ ერთეულებში, რომელიც გაშვებული დამბინძურებლების მოცულობისა და ტიპისთვის არის შესაფერისი.

კონტექსტური ინფორმაცია

გმ 30. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ინფორმაციას, რომლის მომზადება და წარდგენა უკვე მოეთხოვება საწარმოს სხვა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (მაგ., 2010/75/EU დირექტივა, (EC) No 166/2006 რეგულაცია "E-PRTR", ა.შ.).

E2-6 გამჟღავნების მოთხოვნა - დაბინძურების თვალსაზრისით არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

გმ 31. ***ინციდენტებთან*** და ***დანალექებთან*** დაკავშირებული საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად:

ა) ჰაერის, წყლისა და ***ნიადაგის*** შესაბამისი ***დაბინძურების*** აღმოფხვრისა და რემედიაციის, მათ შორის გარემოს დაცვის მიზნით გაწეულ ხარჯებს;

ბ) ზიანის კომპენსაციის ხარჯებს, მათ შორის მარეგულირებელი ან სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწესებული გადასახდელებისა და ჯარიმების გადახდას.

გმ 32. ***ინციდენტები*** შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ***დაბინძურების*** გამომწვევ შეფერხებებს წარმოებაში, მიუხედავად იმისა თუ საიდან წარმოიშობა ისინი - ***მიწოდების ჯაჭვიდან*** თუ საკუთარი ოპერაციებიდან თუ ორივე მათგანიდან.

გმ 33. საწარმოს შეუძლია რისკის ქვეშ მყოფი საკუთარი შესაბამისი პროდუქციის და მომსახურების შეფასება წარმოადგინოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. მას შეუძლია ახსნას როგორ განსაზღვრა ისინი, როგორ მოახდინა მათი ფულადი ღირებულების შეფასება და რომელი კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებები გააკეთა მან.

გმ 34. 38(ა) პუნქტის შესაბამისად მოსალოდნელი ფინანსური შედეგების ფულადი ღირებულება რაოდენობრივად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ერთი თანხის ან დიაპაზონის სახით.